

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები	12
5. შემოსავალი სწავლებიდან და საშუამავლო მომსახურებიდან	13
6. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	13
7. საიჯარო ქირა.....	13
8. საშუამავლო მომსახურება	14
9. სხვა საოპერაციო ხარჯი	14
10. ძირითადი საშუალებები.....	15
11. არამატერიალური აქტივები.....	16
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
14. კაპიტალი.....	17
15. საგადასახადო ვალდებულება	18
16. მიღებული სესხები	18
17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
19. პირობითი ვალდებულებები	20
20. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილოვან ინსტრუმენტებში	20
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი სწავლებიდან	5	2,633,794	1,074,523
საიჯარო შემოსავალი		-	8,215
შრომის ანაზღაურების ხარჯი	6	(1,091,843)	(366,226)
საიჯარო ქირა	7	(631,229)	(93,199)
საშუამავლო მომსახურება	8	(119,402)	(60,331)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(274,384)	(195,978)
საოპერაციო მოგება		516,936	367,004
ფინანსური ხარჯი	16	(111,535)	(113,919)
საკურსო მოგება/ზარალი		20,459	(343)
მოგება დაბეგვრამდე		425,860	252,742
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		425,860	252,742

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	320,442	193,851
არამატერიალური აქტივები	11	48,382	45,512
სულ გრძელვადიანი აქტივები		368,824	239,362
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		1,496	369
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	125,439	16,685
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	2,385,241	345,123
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	20	1,275,672	731,334
სულ მიმდინარე აქტივები		3,787,848	1,093,511
სულ აქტივები		4,156,672	1,332,874
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	3,688,277	1,460,383
დაუფარავი ზარალი	14	(1,382,925)	(1,808,785)
სულ კაპიტალი		2,305,352	(348,402)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	16	423,351	1,118,613
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		423,351	1,118,613
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	16	387,957	-
საგადასახადო ვალდებულებები	15	921	92
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,039,091	562,571
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,427,969	562,663
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,156,672	1,332,874

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		425,860	252,742
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		44,890	32,188
ფინანსური ხარჯი		111,535	113,919
საკურსო მოგება		(25,684)	226
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		556,601	399,075
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(1,127)	(369)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(88,454)	(24,774)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო ვალდებულებებში:			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		475,388	301,409
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		829	43
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		943,187	675,384
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი პროცენტი	16	(111,535)	(113,919)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		831,652	561,465
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(170,477)	(50,533)
შვილობილი კომპანიის კაპიტალის ზრდა		(543,194)	-
არამატერიალური აქტივის შესყიდვა		(3,874)	(45,961)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე		(717,545)	(96,494)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დაფარული სესხი	16	(345,427)	(135,146)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14	2,227,895	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		1,882,468	(135,146)
ნეტო ზრდა/შემცირება ფულის ან ფულადი ექვივალენტების		1,996,575	329,825
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში		345,123	10,448
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		43,543	4,850
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		2,385,241	345,123

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

1 იანვარი 2023	1,460,383	(2,061,528)	(601,145)
მიმდინარე წლის მოგება	-	252,742	252,742
31 დეკემბერი 2023	1,460,383	(1,808,786)	(348,403)
მიმდინარე წლის მოგება	-	425,860	425,860
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,227,895	-	2,227,895
31 დეკემბერი 2024	3,688,278	(1,382,926)	2,305,352

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2025 წლის 29 სექტემბერი:



დავით ბეგლაშვილი
დირექტორი



ნატა კალანდაძე
მთავარი ბუღალტერი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა 2017 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404533475

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს, შვილობილი კომპანიის - „შპს აღმოსავლეთ დასავლეთ უნივერსიტეტი“-ის - მეშვეობით, მომსახურება საგანმანათლებლო სფეროში. კომპანია სტუდენტებს სთავაზობს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, აფხაზის ქ., N4, ხოლო ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის 68 ბ.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, დამფუძნებლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	რეგისტრაციის ადგილი	წილი
ჰამლეტ ისაევი	აზერბაიჯანი	10%
თეიმურაზ ხუროძე	საქართველო	20%
ზაზა ნიშნიანიძე	საქართველო	30%
შპს რეალ ისთეით გრუპ (405446977)	საქართველო	40%

შპს რეალ ისთეით გრუპ-ის 100%-იანი წილის მფლობელია თეა ჭეიშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქართველოში საქმიანობს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე. ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია მესამე შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა. მესამე შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (მსს ფასს-თან).

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის შპს დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებებზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
კომპიუტერული ტექნიკა	5-7
სამედიცინო-სასწავლო დანადგარები და ინვენტარი	5-12

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამას და ლიცენზიას. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის დასახული მიზნით.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამულ უზრუნველყოფაზე დარიცხული ამორტიზაცია ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში, ხოლო ლიცენზიებზე დარიცხული ამორტიზაცია კაპიტალიზირდება მოპოვებული აქტივების თვითღირებულებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
აკადემიური პორტალი	15

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასახაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანია შემოსავლის იღებს შვილობილი კომპანიის - შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი -ს მეშვეობით გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან და აღიარდება სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობის პროპორციულად. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე
- ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ინდივიდუალურ მიდგომას.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი სწავლებიდან და საშუამავლო მომსახურებიდან

შემოსავალი სწავლებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა	3,110,495	1,317,016
ფასდაკლება	(491,021)	(242,493)
	2,619,474	1,074,523

კომპანია სტუნდენტებს სთავაზობს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ხარნგრძლივობა შეადგენს 6 წელს.

6. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
აკადემიური პერსონალის ხარჯი	(645,478)	(273,805)
ადმინისტრაციის ხელფასის ხარჯი	(446,365)	(92,421)
სულ	(1,091,843)	(366,226)

7. საიჯარო ქირა

კომპანია უნივერსიტეტის მეშვეობით, საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ქონებაზე, გამომდინარე იქიდან რომ აკადემიური საქმიანობა დაწყებულია 2023 წელს, უნივერსიტეტის სარგებლობდა საშეღავათო პერიოდით. საიჯარო ხარჯის სრული ოდენობით დარიცხვა დაწყებულია 2024 წელს.

	2024	2023
იჯარა	(631,229)	(93,199)

8. საშუამავლო მომსახურება

საკომისიო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
აგენტების მომსახურების ხარჯი	(238,608)	(71,772)
ჯარიმა პირობების შეუსრულებლობაზე	119,206	11,441
სულ საკომისიო ხარჯი, წმინდა,ჯარიმის შემდეგ	(119,402)	(60,331)

უნივერსიტეტი არარეზიდენტი სტუდენტების მოზიდვის მიზნით სარგებლობს საშუამავლო მომსახურებით გარკვეული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ, რომლის ფარგლებში მომსახურე იურიდიული და ფიზიკური პირები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ გარკვეული ოდენობის სტუდენტების მოზილიზება. მომსახურების ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ჯარიმებს პირობების შეუსრულებლობისათვის.

9. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
ცვეთის ხარჯი	(44,890)	(32,188)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(38,800)	(11,162)
კომუნალური ხარჯი	(34,946)	(21,645)
მივლინების ხარჯი	(18,456)	(34,608)
რემონტის ხარჯი	(16,400)	(18,938)
საპენსიო ხარჯი	(16,053)	(4,931)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(24,337)	(49,845)
სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები	(14,902)	(1,500)
სამეურნეო ხარჯი	(7,718)	(2,988)
საბანკო მომსახურების საკომისიო	(6,626)	(2,677)
სარეკლამო ხარჯი	(5,755)	-
სხვა ხარჯი	(45,501)	(15,496)
სულ	(274,384)	(195,978)

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თაშები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერული ტექნიკა	სამედიცინო- სასწავლო დანადგარები და ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2023	55,632	96,856	40,956	35,504	228,948
შემოსვლა	15,721	5,077	8,256	24,510	53,564
გასვლა/ჩამოწერა	-	(1,030)	-	-	(1,030)
31 დეკემბერი 2023	71,353	100,903	49,212	60,014	281,482
შემოსვლა	95,063	72	73,140	2,202	170,477
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	166,416	100,975	122,352	62,216	451,959
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2023	(15,873)	(22,778)	(17,241)	-	(55,892)
ცვეთის ხარჯი	(8,881)	(12,108)	(8,828)	(1,922)	(31,739)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(24,754)	(34,886)	(26,069)	(1,922)	(87,631)
ცვეთის ხარჯი	(11,237)	(13,918)	(14,585)	(4,146)	(43,886)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(35,991)	(48,804)	(40,654)	(6,068)	(131,517)
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2023	39,759	74,078	23,715	35,504	173,056
31 დეკემბერი 2023	46,599	66,017	23,143	58,092	193,851
31 დეკემბერი 2024	130,425	52,171	81,698	56,148	320,442

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

არამატერიალური აქტივები

1 იანვარი 2023	830
შემოსვლა	45,961
გასვლა/ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2023	46,791
შემოსვლა	3,874
გასვლა/ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2024	50,665

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2023	(830)
ცვეთის ხარჯი	-
გასვლა/ჩამოწერა	(449)
31 დეკემბერი 2023	(1,279)
ცვეთის ხარჯი	(1,004)
გასვლა/ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2024	(2,283)

საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2023	-
31 დეკემბერი 2023	45,512
31 დეკემბერი 2024	48,382

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნა სწავლებიდან	-	12,425
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	6,941	-
სხვა აქტივები	2,000	2,000
ფინანსური მოთხოვნები	(8,941)	14,425
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	61,240	-
საგარანტიო თანხა	34,012	-
სხვა ავანსები	21,246	2,260
არა ფინანსური მოთხოვნები	116,498	2,260
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	125,439	16,685

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	2,309,879	336,214
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	75,362	8,909
სულ	2,385,241	345,123

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და დაუფარავ ზარალს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მეწილეების მიერ საწესდებო კაპიტალში განხორციელებულია ფულადი შენატანი 2,227,895 ლარის ოდენობით.

15. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხის წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტსგან მიღებულ სესხს აშშ დოლარში, წლიური 8.2% საპროცენტო განაკვეთით. სესხის ვადაა 2026 წლის ნოემბერი.

სესხის რეკონსილაცია შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2024	2023
საწყისი ნაშთი	1,118,613	1,253,759
სესხის აღება	-	1,345,979
სესხის გადახდა	(345,427)	(1,471,082)
პროცენტის გადახდა	(111,535)	(113,919)
საპროცენტო ხარჯი	111,535	113,919
საკურსო სხვაობა	38,122	(10,043)
საბოლოო ნაშთი	811,308	1,118,613
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	423,351	1,118,613
სესხის მოკლევადიანი ნაწილი	387,957	-

17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებულად განიხილებიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან:

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები და სხვა სარგებელი	147,241	26,659

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საიჯარო ვალდებულებები	510,860	356,831
სხვა ვალდებულებები	50,629	-
ფინანსური ვალდებულებები	561,489	356,831
საგარანტიო თანხა საშუამავლო მომსახურებაზე	315,765	-
სტუდენტებისგან მიღებული თანხები	161,837	205,740
არაფინანსური ვალდებულებები	477,602	205,740
სულ	1,039,091	562,571

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის, კომპანიას არ აქვს მიმდინარე სამართალდარღვევები და სასამართლო დავები.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

20. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილოვან ინსტრუმენტებში

კომპანიას აქვს ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილოვან ინსტრუმენტებში, რომლებიც აღრიცხულია საბალანსო ღირებულებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილოვან ინსტრუმენტებში მოიცავს შემდეგ კომპანიას:

	2024	2023
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი ს/კ 404535810 - 100% წილი	1,275,672	731,334

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამფუძნებლების შენატანმა საწესდებო კაპიტალში შეადგინა 108,366 ლარი.